გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2019-2020 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

ახალგაზრდების იდეა ფოთს

2. **თემატიკა:**

მოქალაქეთა თანამონაწილეობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

ნინო გვასალია, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, 598 50 58 58 , nino.gvasalia@poti.gov.ge

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ პროცესებში, ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის დონე დაბალია, მცირეა ახალგაზრდების მიერ გამოჩენილი ინიციატივების რაოდენობა და სიხშირე, დაბალია ცნობიერების დონე თვითმმართველობის კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების შესახებ. შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ გზად ახალგაზრდების თანამონაწილეობითი კომპონენტის დანერგვა დაისახა და ინოვაციური პროექტი „ახალგაზრდების იდეა ფოთს“ განახორციელა.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების აღნიშნული კომპონენტი მიზნად ისახავს ფოთელი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ინოვაციური, საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურული და ურბანული პროექტების წარმოჩენასა და მათ განხორციელებას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 16-დან 30-წლამდე ახალგაზრდებს (ინდივიდუალურად და ჯგუფებად) შეეძლოთ ინიციატივები ონლაინ-პლატფორმის www.idea.poti.gov.ge საშუალებით წარდგენა და იდეის გამარჯვებისთვის მხარდამჭერის მოპოვება. ხმის მიცემა მხოლოდ ქალაქ ფოთში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს შეეძლოთ. გამარჯვებული პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება და ახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.

საინფორმაციო ვიდეო-რგოლი:
https://www.facebook.com/watch/?ref=external&v=648201562666577

5. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობზე შავი ზღვის სანაპიროზე მისი მთლიანი ფართობია 65,8 კვ.კმ. ფოთის სამხრეთით, კოლხეთის ეროვნული პარკის ფარგლებში მოქცეულია ბუნებრივი ტბა პალიასტომი. მისი ფართობი 18 კმ^2-ს აღწევს. ფოთი საქართველოს ყველა სტრატეგიულ ადგილთან საგზაო ქსელის მეშვეობითაა დაკავშირებული. მანძილი ბათუმის პორტამდე - 75 კმ, ხოლო ანაკლიის პორტამდე 40 კმ-ია. მანძილი დედაქალაქამდე კი - 340 კმ-ია.

ქ. ფოთის ტერიტორია მოქცეულია ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაში. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 41 465 ადამიანს შეადგენს, მოსახლეობის 53% ქალია, დანარჩენი 47% - კი კაცი.

ქალაქი ფოთი შედგება 4 ადმინისტრაციული ერთეულისგან, ესენია ცენტრის, კუნძულის, ნაბადისა და მალთაყვის უბნები.

მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსით, ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკი და პალიასტომის ტბა, რომელიც ტურისტულად მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს.

6. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია დაკომპლექტებულია პროფესიონალი გუნდით, რომელიც აქტიურად ახორციელებს ქალაქისთვის მნიშვნელოვან მრავალ პროექტს. მუნიციპალიტეტი აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობებით, რის საფუძველზეც, შემუშავებული ახალი ინტერნეტ-პლატფორმა მუშაობდა სრულყოფილად და ხარვეზების გარეშე.
ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის, იურიდიული სამსახურების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი პროექტის სხვადასხვა ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული და უზრუნველყოფდა განსაზღვრული წესების შესაბამისად პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგს.
პროექტის განხორციელებისთვის ასევე დადებით ფაქტორსა და გარანტს წარმოადგენს, პროექტის ყოველ ეტაპში ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების ჩართულობა.
აღნიშნული პროექტის შექმნასა და განხორციელებას, საფუძვლად უდევს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა, ქალაქი ფოთი წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ ობიექტს ქვეყნისთვის, არის ეკონომიკურად აქტიური, მუნიციპალიტეტში დასაქმების დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ქვეყნის მასშტაბით.
მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ქალაქის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობა და ჩართულობის მაღალი დონე, პროექტის განხორციელების ერთ-ერთი ფაქტორია.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**

პროექტის გეგმა-გრაფიკი:

„ახალგაზრდების იდეა ფოთს“ განხორციელებისთვის, შემუშავდა სამუშაოს გეგმა-გრაფიკი, ჩამოყალიბდა კონკურსის წესები და დაიწყო აქტიური საინფორმაციო კამპანია. შემუშავდა გრაფიკული ვიდეო რგოლი და გავრცელდა სხვადასხვა მედია წყაროს მეშვეობით, პროექტის წარმომადგენლებმა ადგილობრივი მედიის გადაცემაში ისაუბრეს პროექტის შესახებ. ქალაქის ყველა სკოლის მაღალ კლასებში და პროფესიულ სასწავლებელში ჩატარდა საინფორმაციო პრეზენტაციები.
საინფორმაციო კამპანიის წარმოების შემდეგ, იდეების მიღება დაიწყო 2020 წლის 25 სექტემბერს და დასრულდა 20 ოქტომბერს.
პროექტების გადარჩევის, საიტზე განთავსების ეტაპი: 21 ოქტომბერი – 29 ოქტომბერი;
ხმის მიცემის ეტაპი: 30 ოქტომბერი – 12 ნოემბერი.
ხმის მიცემის დასრულებიდან 2 დღის ვადაში გამოვლინდა გამარჯვებული პროექტები.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ინტერნეტ-პლატფორმა idea.poti.gov.ge და სოც. გვერდი: https://www.facebook.com/ახალგაზრდებისიდეაფოთს

პროექტის წესები განისაზღვრა შემდეგნაირად:

კონკურსში მონაწილეობის პირობები:

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ქალაქ ფოთში მცხოვრებ ან რეგისტრირებულ 16 წლიდან 30 წლამდე ახალგაზრდას/მაქსიმუმ 3 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფს.

პროექტის წარმოდგენა შესაძლებელია როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად. გაითვალისწინეთ, ჯგუფის რეგისტრაციის შემთხვევაში, ერთი წევრი უნდა იყოს ჯგუფის ხელმძღვანელი.
საპროექტო იდეა უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს, იყოს საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული და წარმოადგენდეს ქალაქისთვის ინოვაციას, მიმართული უნდა იყოს ქალაქის ინფრასტრუქტურული, ტურისტული განვითარებისკენ.
პროექტის მონაწილე/მონაწილეები არ უნდა იყვნენ დასაქმებულნი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.
გამარჯვებულს/გამარჯვებულებს გამოავლენს ქალაქის მოსახლეობა – ონლაინ ხმის მიცემის საშუალებით.
არ განიხილება კერძო ინვესტიციების/ბიზნეს-სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები.

საპროექტო იდეების კონკურსში გამარჯვებული
კონკურსში გამარჯვებული პროექტი/პროექტები გამოვლინდება მიღებული ქულების შესაბამისად, თანმიმდევრობით, რიგითობისა და პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით.
კონკურსის გამარჯებულის გამოვლენა მოხდება განსახორციელებელი პროექტის ღირებულებისა და მიღებული ხმების საფუძველზე შემუშავებული K კოეფიციენტის მიხედვით. K კოეფიციენტი ადგენს ხმების რაოდენობას პროექტის ღირებულების ყოველ 1000 ლარზე.
ფოთის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად გამარჯვებული პროექტების განხორციელებას.

განხილვას ექვემდებარება:
პროექტი, რომელიც ითვალისწინებს:
ქალაქ ფოთის ინფრასტრუქტურის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
ნარჩენების მართვას;
გარე განათებისა და კეთილმოწყობის საკითხებს;
შშმ პირთა ინკლუზიასა და მათთვის გარემოს ადაპტაციის საკითხს;
ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფის საკითხს;
მერიის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

განხილვას არ ექვემდებარება პროექტი, რომელიც:
ორიენტირებულია კერძო ინვესტიციების/ბიზნეს-სექტორის განვითარებაზე;
ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე ადამიანის პირად ინტერესებს;
მოიცავს რეკლამას (მათ შორის: ბიზნესის, პოლიტიკური შინაარსის და სხვ.);
ადგილობრივ თვითმმართველობას უკვე დაგეგმილი აქვს;
არ შეესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებს;
ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას;
შეიცავს უცენზურო, სახუმარო ვიზუალურ მასალას ან შინაარსს;
ეხება კომუნალური ინფასტრუქტურის გაუმჯობესებას, გზების მშენებლობას;
წარმოადგენს სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე დავის საგანს ან კანონმდებლობით პირდაპირ არის დადგენილი საკითხის რეგულირების პროცედურა, რომელიც გამორიცხავს იდეის საფუძველზე მის გადაწყვეტას;
იდენტური შინაარსის მქონე იდეების შემთხვევაში, განიხილება მათ შორის უფრო ადრე დარეგისტრირებული პროექტი.
პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული იდეების პრეზენტაცია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან გაიმართა, რომელიც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული.

პროექტების წარდგენის შემდეგ, ინიციატორები სხვადასხვა საშუალებით ავრცელებდნენ პროექტების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის ადგილობრივი მედიის მეშვეობით, ცდილობდნენ მაქსიმალურად მოეპოვებინათ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა.
გამარჯვებული პროექტების ავტორებმა 2019 წლის დეკემბერში გამართულ კონფერენციაზე გამართეს პრეზენტაციები.
პროექტების შესარჩევ ეტაპზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ან შეფერხება არ ყოფილა, მისი მიმდინარეობის ყველა ეტაპზე საკმაოდ დიდი აქტიურობა და გამოხმაურება ჰქონდა პროექტს.
გამოწვევა გახდა 2020 წლის კოვიდ-პანდემია და დაწესებული შეზღუდვები, რომელმაც ხელი შეუშალა ყველა პროექტის განხორციელებას 2020 წლის ფარგლებში, შესაბამისად, პროექტების დარჩენილი ნაწილის განხორციელება დაგეგმილია 2021 წელს.

<u>განაცხადს ახლავს სამუშაო ჯგუფის შექმნაზე მერის ბრძანება.</u>

8. მიღწეული შედეგი:

სულ ინტერნეტ-პლატფორმაზე დარეგისტრირდა 50 პროექტზე მეტი (ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები), ხმის მიცემის ეტაპზე გადავიდა 35 პროექტი, რომელთაგან 7 პროექტმა გაიმარჯვა, ჯამში 300 000 ლარის ღირებულებით. საკუთარი არჩევანი ონლაინ-ხმის მიცემით დააფიქსირა 5000-მდე ამომრჩეველმა.

პროექტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა, გამარჯვებული იდეების ავტორების აქტიური ჩართულობა პროექტების განხორციელების თითოეულ ეტაპში, რაც მათ ეხმარებათ როგორც თვითმმართველობის პროცესებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაში, ასევე პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

პროექტის წარმატება განსაზღვრა ახალგაზრდებისთვის სრულიად ინოვაციურმა პროექტმა, რომლის მეშვეობითაც, 16-დან 30 წლამდე ახალგაზრდებს მარტივი ფორმით შეეძლოთ თავისი ხედვის შესაბამისად, შეეცვალათ გარემო საკუთარ ქალაქში.
საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, შესაძლებელი გახდა ახალგაზრდების დაინტერესება, რაც ატვირთული პროექტების სიმრავლესა და მრავალფეროვნებაში გამოიხატა.

10. საკრებულოს როლი:

„ახალგაზრდების იდეა ფოთს“ პროექტის დაგეგმვის, განხორციელების ეტაპებში აქტიურად იყვნენ ჩართული საკრებულოს წევრები, შესაბამისად, აღნიშნული პროექტი კოლეგიალურობის პრინციპის დაცვით, ურთიერთთანამშრომლობის შედეგად განხორციელდა.
საკრებულოს გარდა, პროექტის ყოველ ეტაპში აქტიურად იყო ჩართული მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლობაც.

11. პრატიკასთან/ინიციატივასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

მიუხედავად 2020 წლის პანდემიის გამოწვევისა, მოხერხდა 4 პროექტის განხორციელება და დაგეგმილია დარჩენილი ნაწილის განხორციელებაც, რის შემდეგაც, დაგეგმილია პროექტის მომდევნო ეტაპის გამართვაც.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

კონსტანტინე თოფურია, მერის მოადგილე, 568708708 (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი), k.topuria28@gmail.com
პროექტის კოორდინატორები:
ნინო გვასალია, მერის თანაშემწე 598 50 58 58 , nino.gvasalia@poti.gov.ge (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე);
ბექა ვაჭარაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, 557 99 32 32 , b.vacharadze@poti.gov.ge
შალვა სარდალიშვილი, მაჟორიტარის ბიუროს ხელმძღვანელი, 551 42 01 00, shako1501@gmail.com
ბაქარ ერაგია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, 577320025, bakar.eragia@poti.gov.ge

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნაზე
ფოტომასალა

სოც. გვერდი:
https://www.facebook.com/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%90-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%A1-Idea-Poti-117190146330202

ვებ-პლატფორმა:
https://idea.poti.gov.ge/

ვიდეო-მასალა:

https://www.facebook.com/poti.gov.ge/posts/2793060324083359

https://www.youtube.com/watch?v=XCVVJpTd-Ns

https://www.youtube.com/watch?v=2sPQei8eb-4

https://www.youtube.com/watch?v=-BqGOzUia0Y

https://www.youtube.com/watch?v=7g8fRZkgu7k

https://www.youtube.com/watch?v=NqS4dTtY0LY

https://www.youtube.com/watch?v=icnGFWNJnGI

https://www.youtube.com/watch?v=Bum9ph9uuzw

https://www.youtube.com/watch?v=xyrAd8S-Iq4&feature=share&fbclid=IwAR2vrjqYJrAXMqb-nijC31IJip4Bj80g_d_Zpqj6ABHkIat6J3QSiOy14vU